

მოქალაქის გზამკვლევი



**საქართველოს საბიუჯეტო სისტემა
2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი**

2015, დეკემბერი

შესავალი

ბიუჯეტის გზამკვლევი წარმოდგენას უქმნის საქართველოს მოქალაქეებს, თუ როგორ განკარგავს სახელმწიფო გადასახადების და სხვა შემოსავლებით მობილიზებულ სახსრებს.

გზამკვლევი ეხმარება მთავრობას მარტივი გზით აუხსნას მოსახლეობას ბიუჯეტის მიერ დასახული მიზნები და მასში სხვადასხვა წყაროების მითითებით დააკმაყოფილოს ბიუჯეტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღების სურვილის მქონე მოქალაქეთა ინტერესი. ის ხელს უწყობს კონკრეტული სფეროს პოლიტიკის გარშემო რეალისტური მოლოდინების ჩამოყალიბებას და მოსახლეობის მხარდაჭერის მობილიზებას. მთლიანობაში, გზამკვლევი ეხმარება მთავრობის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ცოდნის ამაღლებას და ზრდის მოქალაქეების უნარს ჩაერთონ აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში, პრიორიტეტების დადგენის, ბიუჯეტის დაგეგმვის და შესრულების სტადიებზე. უფრო ინფორმირებულ და აქტიურ საზოგადოებას კი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მმართველობის განვითარებაში და სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლაში.

ინფორმაცია საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე ყველა დაინტერესებულ პირს შეუქმნის ზოგად წარმოდგენას საქართველოს საბიუჯეტო სისტემაზე, 2016 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტულ მიმართულებებზე, ბიუჯეტით დაგეგმილ ღონისძიებებზე, სახელმწიფოს მიერ წლის განმავლობაში მისაღებ შემოსულობების მოცულობაზე და დასახული მიზნების მისაღწევად გასაწევ ხარჯებზე

2016 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მოკლე სახელმძღვანელო, ბიუჯეტი და ბიუჯეტთან/საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინტერნეტ გვერდზე:

www.mof.ge

რა არის ბიუჯეტი?

ოჯახის ბიუჯეტი

რა არის ბიუჯეტი? ეს არის იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა განკარგო შემოსავალი. ბიუჯეტის შედგენა სასარგებლოა როგორც ცალკეული პირებისა და ოჯახებისათვის, ისე საქმიანი ადამიანებისა და მთავრობებისათვის.

ოჯახის ყველა წევრი უნდა მონაწილეობდეს ბიუჯეტის შედგენაში, რათა ყველა გრძნობდეს ვალდებულებას, მიჰყვეს შედგენილ გეგმას. ერთად შედგენილი ბიუჯეტი დაეხმარება ოჯახის თითოეულ წევრს, უკეთესად განკარგონ ოჯახის შემოსავალი.

მოთხოვნილებები და ხარჯები შემოსავლების პარალელურად იზრდება და როგორც წესი, ყოველთვის აჭარბებს მას. რეალურად ერთობლივი ბიუჯეტი გულისხმობს ფინანსების ისეთ მართვას, რომელიც მომავალზე ფიქრის შესაძლებლობას იძლევა.

ოჯახის ბიუჯეტის განსაზღვრისას განიხილება მოსალოდნელი შემოსავლები და ხარჯები როგორცაა კვება, კომუნალური მომსახურება, ტრანსპორტირება, დასვენება, ოჯახის აუცილებელი გადასახადები, როგორცაა მაგალითად ბინის, მანქანის და სხვა სამომხმარებლო კრედიტის დაფარვა, ბანკის საპროცენტო შენატანები, აგრეთვე მსჯელობენ გარკვეული თანხის დაზოგვის შესაძლებლობაზეც. მნიშვნელოვანია შეფასდეს წლის განმავლობაში გასაწევი ხარჯები ოჯახის შემოსავლებთან მიმართებაში, თუ ოჯახის შემოსავალი არასაკმარისი აღმოჩნდა დაგეგმილი ხარჯების დასაფარავად, უნდა განისაზღვროს პრიორიტეტები ხარჯების შესამცირებლად ან განხილულ იქნეს შემოსავლების გაზრდის ალტერნატიული ვარიანტები მაგალითად: ზედმეტი სამუშაო საათები, ახალ სამსახურში გადასვლა ან დამატებითი სამუშაოს მოძებნა. თუ ოჯახი თვლის, რომ მისი მდგომარეობა დროებითია, ან სურვილი აქვთ ახალი ბიზნესის დაწყების და არა აქვთ საკმარისი სახსრები, მაშინ მის წევრებს შეუძლიათ განიზილონ კრედიტის აღების ვარიანტიც, მაგრამ მის პარალელურად საჭიროა განიხილონ და მოიძიონ სესხის დაფარვის წყაროები.

თუ ოჯახის შემოსავალი აჭარბებს ყოველდღიურ ხარჯებს, შესაძლებელია დანაზოგის გაკეთება შორეული გეგმების განსახორციელებლად. ან მეორეს მხრივ, ასეთი თანხები დახიხარჯოს არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე; მაგალითად იყიდონ ახალი ავტომობილი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა ან გაიუმჯობესონ საცხოვრებელი პირობები.

ოჯახი რაღაც ფორმით სახელმწიფოს პატარა მოდელია და მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის მომზადების პროცესიც ზოგიერთ შემთხვევაში ზემოთ აღწერილი პროცესის ანალოგიურად მიმდინარეობს. მთავრობა და პარლამენტი

განსაზღვრავენ მთავრობის მოსალოდნელ შემოსავლებს, შემოსავლის წყაროებს და მოსალოდნელ ხარჯებს პროგრამების მიხედვით. მაგალითად თავდაცვის, საგარეო საქმეთა, სოციალური დაცვის, განათლების, სამართალდამცავი ორგანოების, რეგიონული ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის და სხვა პროგრამების მიხედვით. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოსალოდნელი შემოსავლები ხარჯებზე ნაკლებია, მთავრობა განიხილავს საგარეო ვალის აღების შესაძლებლობას გარკვეული პირობებით, თუ იგი ქვეყნისთვის მომგებიანი იქნება და მისი დაფარვის წყაროებიც შესაძლებელი.

სახელმწიფო ბიუჯეტი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი არის საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების შემოსავლების, აგრეთვე მისი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი ხარჯების ნუსხა.

ბიუჯეტი არის გამჭვირვალე დაგეგმარება, რომლის დროსაც მთავრობა და მხარჯავი ერთეულები აღწევენ ერთგვარ შეთანხმებას სახელმწიფო რესურსების განაწილებაზე სტრატეგიული პრიორიტეტების მიხედვით. საბიუჯეტო პროცესის დახვეწისა და ფორმულირების გაუმჯობესების ეტაპზე მნიშვნელოვანია აღნიშნული პროცესი მოექცეს დადგენილ ფისკალურ ჩარჩოში და მოხდეს რესურსების ეფექტური განაწილება სტრატეგიული პრიორიტეტების მიხედვით, რათა მიაღწეულ იქნეს დასახული მიზნები.

ბიუჯეტს მრავალმხრივი ფუნქცია გააჩნია:

- ბიუჯეტი წარმოადგენს ცენტრალური მთავრობების მიერ შემუშავებულ გეგმას, თუ როგორ მოიძიოს მთავრობამ სახსრები აღებული ვალდებულებების შესასრულებლად. რა სახის და მოცულობის თანხები უნდა იქნეს ამისათვის მობილიზებული სხვადასხვა სახის გადასახადებიდან, როგორცაა დამატებული ღირებულების, აქციზის, მოგებისა და სხვა სახის გადასახადები.
- ბიუჯეტი წარმოადგენს გეგმას, თუ როგორ უნდა დახარჯოს მთავრობამ მის მიერ მობილიზებული თანხები. რა ღონისძიებები უნდა იქნეს დაფინანსებული და როგორ უნდა განაწილდეს შემოსავლები სხვადასხვა სფეროებზე. კერძოდ, განათლებაზე, თავდაცვაზე, ჯანმრთელობაზე, სოციალურ დაცვასა და ა.შ. სხვა მიმართულებებზე.

- ბიუჯეტი განსაზღვრავს მთავრობის მიერ ასაღები სახელმწიფო ვალისა და სესხების ლიმიტებს. თუ ხარჯები აჭარბებს შემოსავლებს, მთავრობამ უნდა აიღოს გარკვეული ვალი, რათა დაფაროს მისი მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების ხარჯები და გადაიხადოს გასული წლების ვალები.
- ბიუჯეტი გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე. ზოგიერთი ხარჯი, როგორცაა მაგალითად განათლებისა და მეცნიერების, აგრეთვე ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებელია ზრდის პროდუქტიულობას, რაც მომავალში გამოიწვევს მოსახლეობის შემოსავლის ზრდასაც; მეორეს მხრივ კი გადასახადები ამცირებენ მოსახლეობის შემოსავალს და უტოვებენ მათ ნაკლებ სახარჯ ფულს. გამომდინარე აქედან, ბიუჯეტი (შემოსულობები და გადასახდელები) უნდა დაბალანსდეს ისე, რომ იგი იქცეს ქვეყნის განვითარების მძლავრ ბერკეტად.
- ბიუჯეტზე თავად ახდენენ გავლენას ეროვნული ეკონომიკური პროცესები. კერძოდ, მაღალი ეკონომიკური ზრდის პირობებში ბიზნესი უფრო აქტიურდება, იზრდება დასაქმების მოცულობა, შესაბამისად იზრდება როგორც მოქალაქეების, ასევე ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავალიც, განსაკუთრებით კი საგადასახადო შემოსავალი. ამ პირობებში მთავრობას საშუალება ეძლევა დააფინანსოს მეტი ღონისძიებები. ამასთან მცირდება ვალის აღების საჭიროება.
- ბიუჯეტი წარმოადგენს ისტორიულ აქტსა და სტრატეგიულ დოკუმენტს. ბიუჯეტი მოიცავს ინფორმაციას გასულ წლებში მთავრობის მიერ მოზიდულ და დახარჯულ თანხებზე, ასევე მოიცავს საპროგნოზო ინფორმაციას თანხების მომავალში დახარჯვასთან დაკავშირებით.

ბიუჯეტი - საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ.

პროგრამული ბიუჯეტი - ასიგნებები გამოიყოფა მხარჯავი დაწესებულებების და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით. პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი პრინციპია სახელმწიფო სახსრების მიმართვა წინასწარ განსაზღვრული შედეგების მისაღწევად, რისი გათვალისწინებითაც პროგრამული ბიუჯეტი ხშირად შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტის სახელითაა მოხსენიებული; პროგრამული ბიუჯეტის მიზანია სახელმწიფო ხარჯების

ეფექტურობის ამაღლება, სახელმწიფო სექტორის დაწესებულებების დაფინანსებისა და მათ მიერ მიღწეული შედეგების ურთიერთკავშირის გაძლიერება.

გარდა მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამებისა საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულია საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების როლი და კანონი ადგენს რა შეიძლება იყოს ამ ტიპის გადასახდელები, მათ შორის მოიაზრება საერეზერვო ფონდები და დადგენილია ლიმიტი სარეზერვო ფონდებისათვის (არაუმეტეს მთლიანი ბიუჯეტის 2%).

პროგრამა - წარმოადგენს ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად საბიუჯეტო ორგანიზაცი(ებ)ის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად.

ქვეპროგრამა - წარმოადგენს მხარჯავი დაწესებულების პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაცი(ებ)ის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა ერთობლიობას.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა

საქართველოს მთავრობის ყველა დონის საბიუჯეტო სისტემას - ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ჩათვლით - არეგულირებს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, რომელიც მიღებულ იქნა 2009 წელს. საბიუჯეტო კოდექსმა შემოიღო ახალი პროგრამული ბიუჯეტის სტრუქტურა, რომელიც ყველა ცენტრალურ მხარჯავ დაწესებულებაში 2012 წლიდან დაინერგა. პროგრამული ბიუჯეტის სტრუქტურით ადგილობრივი ბიუჯეტების მომზადება დაიწყო 2013 წლიდან.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა წარმოადგენს „საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციების შესასრულებლად ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით სამართლებრივი აქტებით რეგულირებულ საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობას“.

საბიუჯეტო პროცესი ეს არის საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპებია:

- **ყოვლისმომცველობა** - ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელის და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტში;
- **გამჭვირვალობა** - ბიუჯეტის პროექტის წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა, ბიუჯეტის და მისის შესრულების ანგარიშების გამოქვეყნება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- **ანგარიშვალდებულება** - საბიუჯეტო პროცესის ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და ბიუჯეტის შესახებ წარდგენილ ინფორმაციაზე;
- **დამოუკიდებლობა** - ყველა დონის ბიუჯეტის დამოუკიდებლობა
- **ერთიანობა** - ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციით, აღრიცხვის ერთიანი სისტემით, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი პრინციპებით ხელმძღვანელობა ყველა დონის ბიუჯეტისათვის;
- **უნივერსალობა** - ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად;
- **კონსოლიდირება** - სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემა.

ბიუჯეტის პროექტის მომზადებაზე, დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლება, სახელმწიფო ბიუჯეტისათვის - საქართველოს მთავრობა.


საჯარო ფინანსების მართვა როგორც ერთიანი სისტემა

(Public Finance Management)

ბევრი თვლის რომ საჯარო ფინანსების მართვა (PFM) არის მხოლოდ თანხების განაწილების, ხარჯვის და აღრიცხვის პროცესი. რეალობაში საჯარო ფინანსების მართვა შეიძლება განვიხილოთ არა როგორც პროცესი, არამედ როგორც ურთიერთდაკავშირებული პროცესების ერთიანი სისტემა.

ქვემოთ მოყვანილ სქემაში მოცემულია ისეთი სისტემა, რომელიც ნათლად გვაჩვენებს შემდეგი ურთიერთკავშირებიდან გამომდინარე სახელმწიფო ხარჯების მართვის შედეგებს:

საჯარო ფინანსების მართვის ზოგადი სქემა



(1) **პრიორიტეტების და სტრატეგიების განსაზღვრა** - გამართული, სტრატეგიებზე დამყარებული საბიუჯეტო პროცესი, რომელშიც მთავარი უწყებები - მთავრობა და ფინანსთა სამინისტრო მკაცრად განსაზღვრავენ მაკროეკონომიკურ ჩარჩოს, რესურსებს და პოლიტიკას, ხოლო დარგობრივი სამინისტროები ითვალისწინებენ მათთვის განსაზღვრულ მონაცემებს შემდეგი სტრატეგიული დაგეგმარებისას.

(2) **ბიუჯეტის მომზადების** პროცესი უზრუნველყოფს მოცემულ ჩარჩოებში სტრატეგიული გეგმების ასახვას რეალური თანხების განაწილებაზე.

(3) **რესურსების მართვის** პროცესები უზრუნველყოფენ ბიუჯეტით განსაზღვრული ღონისძიებების ეფექტურად შესრულებისათვის საჭირო თანხების, შესაძენი ინვენტარის, კაპიტალისა და კადრების მზადყოფნას.

(4) **შიდა კონტროლი და მონიტორინგი** - არსებობს შიდა მართვის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ პასუხისმგებელი და გადაწყვეტილების მიმღები პირები მუდმივად იყვნენ ინფორმირებულნი ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობისა და არსებული პრობლემის შესახებ.

(5) **აღრიცხვა-ანგარიშგების** სისტემები უზრუნველყოფენ საბიუჯეტო პროცესის სრულ გამჭვირვალობას, ანუ იმ ინფორმაციის არსებობას, რომელიც ცხადად წარმოადგენს თუ სად, როგორ და როდის იხარჯება სახელმწიფო ფული. ამავდროულად აძლიერებს ამ პროცესში ჩართულ პირთა პასუხისმგებლობას.

(6) **გარე კონტროლი და აუდიტი** - გარე აუდიტი ამოწმებს ხარჯების შესაბამისობას, ფინანსური შეფასების უტყუარობას და ბიუჯეტის შესრულების არსებულ მდგომარეობას. ამით უზრუნველყოფს მომავალში დაგეგმვისა და სტრატეგიების განსაზღვრისადმი მეტი პასუხისმგებლობით მიდგომას.

ეს პროცესები საბოლოოდ იკვრება ერთ მთლიან შეთანხმებულ სისტემად, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ფინანსების მართვას. ამ სისტემის ეფექტურობა მჭიდროდაა დამოკიდებული ექვსივე პროცესის როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთდროულად ფუნქციონირებაზე (პროცესებს შორის ურთიერთკავშირი სქემაზეა ასახული ისრებით, რომლებიც აჩვენებენ თუ ეს პროცესები საბოლოოდ როგორ იკვრება ერთ მთლიან შეთანხმებულ სისტემად). იმ შემთხვევაშიც კი, თუ ყველას ეს პროცესი ეფექტურად მუშაობს, მაგრამ მათი ფუნქციონირება არ არის ერთმანეთთან შეთანხმებული, აქვთ დროის სხვადასხვა ვადები, განსხვავებული კრიტიკული მომენტები, ან სხვა შეუთანხმებლობა, მაშინ არ არსებობს იმის გარანტია, რომ საჯარო ფინანსების მართვის (PFM) სისტემა ეფექტურ შედეგს გამოიღებს.

სამწუხაროდ ბევრი რეფორმა ითვალისწინებს მხოლოდ კონკრეტული, ცალკეული პროცესების გაძლიერებას და არ ითვალისწინებს ამ პროცესებს შორის

კავშირებს. ეს არასოდეს არ მოგვცემს ეფექტურ შედეგს. ერთ-ერთი საინტერესო რეფორმა, რომელიც კონცენტრირებულია სწორედ პროცესების ურთიერთკავშირის საშუალებით ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებაზე, არის ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვა (MTEF).

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტი (BDD)

წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესი იწყება ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტზე (BDD) მუშაობით.


ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტი (BDD) არის ქვეყნის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ, ასევე ინფორმაციას საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ.

დოკუმენტის მოიცავს 4 წლიან პერიოდს და ყოველწლიურად განახლებადი დოკუმენტია.

BDD დოკუმენტის მომზადებით იწყება ყოველწლიური ბიუჯეტის მომზადება. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განისაზღვრება ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის შემუშავების ეტაპები, რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს იგი და რა ვადებში ხდება საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისათვის მისი პირველადი, გადამუშავებული და საბოლოო ვარიანტების წარდგენა.


საქართველოს მთავრობა იწონებს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველად ვარიანტს დასაგეგმი საბიუჯეტო წლისა და +3 წლისათვის.

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტის (BDD) სტრუქტურა:



საბიუჯეტო პროცესის მოკლე აღწერა

- სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით, სამინისტროები აყალიბებენ მათ პრიორიტეტებს;
- მთავრობა პრიორიტეტებს და საბიუჯეტო პარამეტრებს უთანხმებს პარლამენტს;
- პარლამენტის შენიშვნების და წინადადებების გათვალისწინებით სამინისტროები ამტკიცებენ საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ განსახორციელებელ სტრატეგიებს;
- სამინისტროების პრიორიტეტების საფუძველზე მზადდება BDD დოკუმენტი, სადაც ასევე ასახულია მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების დაფინანსების სავარაუდო მოცულობები და სამინისტროების საბიუჯეტო ჭერები;
- BDD დოკუმენტის გათვალისწინებით სამინისტროები ავსებენ საბიუჯეტო განაცხადებს; საბიუჯეტო განაცხადების საფუძველზე ფინანსთა სამინისტრო ამზადებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს;
- საქართველოს მთავრობა წარუდგენს ბიუჯეტის პროექტს საქართველოს პარლამენტს, რომელიც განხილვების შემდგომ ამტკიცების წლიური ბიუჯეტის შესახებ კანონს.



საჯარო ფინანსების რეფორმის აღწერა

საჯარო ფინანსების რეფორმა, რომელიც 2004 წლიდან დაიწყო გულისხმობდა ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის შემოღებას, საბიუჯეტო პროცესის ზოგად გაუმჯობესებას, საბიუჯეტო კლასიფიკაციის თანხვედრას საერთაშორისო სტანდარტებთან GFSM 2001 ყველა დონის ბიუჯეტისათვის და პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლას.

საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში მიღებული ახალი რეგულაციების ასახვა მოხდა ახალ საბიუჯეტო კოდექსში, რომელიც მომზადდა და დამტკიცებულ იქნა 2009 წელს და ძალაშია 2010 წლიდან. საბიუჯეტო კოდექსმა თავისთავში გააერთიანა საბიუჯეტო სისტემასთან დაკავშირებული ყველა საკანონმდებლო აქტი, როგორც სახელმწიფო ისე ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის. საბიუჯეტო კოდექსით ასევე განისაზღვრა ეტაპობრივად პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლის ვალდებულება, სახელმწიფო ბიუჯეტისთვის 2012 წლიდან, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის 2013 წლიდან.

ბევრი გაკეთდა ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის (MTEF) დანერგვის კუთხით. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის (BDD) ფორმატმა რამდენჯერმე განიცადა ცვლილება, მას შემდეგ რაც ის პირველად მომზადდა 2005 წელს. ახალი საბიუჯეტო კოდექსით საკანონმდებლო დონეზე გამყარდა კავშირი ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტსა და წლიური ბიუჯეტის კანონის დაგეგმვას შორის. დოკუმენტი ასახავს მთავრობის პრიორიტეტებს, გასული წლების და დასაგეგმი წლების მაკროეკონომიკური პარამეტრების ანალიზს და მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელ ძირითად ღონისძიებებს. თანდათანობით დოკუმენტში აისახა სახელმწიფო ბიუჯეტის ყველა მხარჯავი დაწესებულების პრიორიტეტები და ასევე ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების პრიორიტეტები. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, მხარჯავ დაწესებულებებთან კოორდინაციით ყოველწლიურად ამზადებდა ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების 4 წლიან დოკუმენტს, საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად. ეს დოკუმენტი ასახავდა სამინისტროების და სხვა მხარჯავი დაწესებულებების საშუალოვადიან პრიორიტეტებს, მათ დაფინანსებას და მიზნებს. დოკუმენტი ადგენს ასიგნებების და რიცხოვნობის ზღვრულ მოცულობებს მხარჯავი დაწესებულებებისთვის. შედეგად BDD დოკუმენტი წარმოადგენს წლიური ბიუჯეტის პროექტის ერთგვარ ჩარჩოს და იმ პაკეტის ნაწილს, რომელიც წარედგინება

საქართველოს პარლამენტს, ხოლო მისი საბოლოო ვარიანტი მიეწოდება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს დასაგეგმი წლის იანვრის თვეში.

2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამულ ფორმატზე გადასვლიდან გამომდინარე პირველად 2013-2015 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი მომზადდა განსხვავებული ფორმატით, რათა იგი შესაბამისობაში ყოფილიყო პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

2015 წელს განახლდა პროგრამული ბიუჯეტის მომზადების მეთოდოლოგია, უფრო დეტალურად გაიწერა ახალი რეგულაციები, რომლებიც რეკომენდაციას უწევენ უშუალოდ მხარჯავ დაწესებულებებს შეიმუშაონ პროგრამები და ქვეპროგრამები, მოამზადონ შესაბამისი ხარჯთაღრიცხვები, განსაზღვრონ მოსალოდნელი შუალედური და საბოლოო შედეგები და შესრულების შეფასების ინდიკატორები მათი საშუალოვადიანი გეგმებიდან, სექტორული სტრატეგიებიდან და ხელმისაწვდომი რესურსებიდან გამომდინარე. პროგრამული ბიუჯეტი ითვალისწინებს უფრო ფართო მაჩვენებლების სისტემას: თითოეული პროგრამისთვის წარმოდგენილი უნდა იყოს საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებელი, ცდომილების ალბათობა, შესაძლო რისკები. აღნიშნული მიზნად ისახავს, რომ სამინისტროების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებით თუ სხვადასხვა სექტორულ სტრატეგიებით განსაზღვრული პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები და მათი ბიუჯეტები ასახული იქნეს შესაბამისი წლის წლიური ბიუჯეტის კანონში და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში. მეთოდოლოგიაში აღწერილია სამინისტროების მიერ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შედგენის პროცედურები და მოცემულია დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას უნდა მოიცავდეს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები და როგორ უნდა მოხდეს თითოეული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინფორმაციის მომზადება, როგორ უნდა მოხდეს ხარჯთაღრიცხვების მომზადება სხვადასხვა ტიპის პროგრამებისთვის.


საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში განხორციელდა ყველა დონის ბიუჯეტის და ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის სრულყოფილად მოქცევა ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში. კერძოდ, განხორციელდა სახელმწიფო ფინანსების მართვის სისტემის შესაბამისი მოდულების განახლება და 2015 წლის 1 იანვრიდან ერთიან ელექტრონულ სისტემაში მოექცა ყველა დონის ბიუჯეტი და ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის ბიუჯეტი სრულად, როგორც დაგეგმვის, ისე აღსრულების ეტაპზე. რეფორმის შედეგად გაფართოვდა საბიუჯეტო ორგანიზაციის ტერმინის ქვეშ გათვალისწინებული დაწესებულებების წრე და საბიუჯეტო კოდექსის რეგულირების სფერო ვრცელდება საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკის და

ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ დაფუძნებულ ან/და მათ მიმართ ანგარიშვალდებულ/კონტროლს დაქვემდებარებულ ყველა იურიდიული პირზე (გარდა სამეწარმეო სტატუსის მქონე იურიდიული პირებისა და საქართველოს ეროვნული ბანკისა). აღნიშნული საბიუჯეტო პროცესის მეტი გამჭვირვალობის მიღწევას უწყობს ხელს.

ბიუჯეტის ფორმატი და წარდგენის პროცედურები საგრძნობლად გაუმჯობესდა, შედეგებზე ორიენტირებული დაგეგმვის, საშუალოვადიანი პერსპექტივის და სტრატეგიულ დაგეგმვასა და ბიუჯეტს კავშირების არსებობის მხრივ საჭირო ნაბიჯები გადაიდგა.

გატარებული რეფორმების შედეგად, ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის (The International Budget Partnership) მიერ გამოქვეყნებული „ბიუჯეტის გამჭვირვალობის კვლევა 2015“ (Open Budget Survey 2015) შედეგებით, საქართველომ 66 ქულით მე-16 ადგილი დაიჭირა მსოფლიოს 102 ქვეყანას შორის, რითაც მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა პოზიციები 2012 წლის ანალოგიურ კვლევასთან შედარებით (2012 წლის ინდექსის თანახმად 33-ე ადგილს იკავებდა) და საქართველო მოექცა მნიშვნელოვნად გამჭვირვალე ქვეყნებს შორის.

ქვეყნის ღია ბიუჯეტის ინდექსი (Open Budget Index) წლების მიხედვით ასე გამოიყურება:



ძირითადი ფისკალური წესები საქართველოში

2011 წელს საქართველომ მიიღო საქართველოს ორგანული კანონი „*ეკონომიკური თავისუფლების შესახებ*“, რომლითაც დადგენილია ეკონომიკური უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიები. ამ კანონით სახელმწიფო უზრუნველყოფს ეკონომიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს საზოგადოების განვითარებას, ხალხის კეთილდღეობას და ეკონომიკის გრძელვადიან, სტაბილურ ზრდას. თავისუფლება არის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპი, რომელიც გამოიხატება მთავრობის მცირე ზომაში, პასუხისმგებლობიან მაკროეკონომიკურ პოლიტიკასა და დაბალ გადასახადებში.

ეკონომიკის გრძელვადიანი და სტაბილური ზრდის საშუალებით კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად დადგენილია მაკროეკონომიკური პარამეტრების შემდეგი მაქსიმალური ზღვრები:

გადასახდელების წესი - ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან უნდა იყოს არა უმეტეს 30%;

ბალანსის წესი - ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან უნდა იყოს არა უმეტეს 3%;

სახელმწიფო ვალის წესი - სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან უნდა იყოს არა უმეტეს 60%.

შემოსავლების წესი - ორგანული კანონი კრძალავს ნებისმიერი გადასახადის განაკვეთის გაზრდას, გარდა აქციზისა.

თუ საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი არ შეესაბამება კანონით დადგენილ ზღვარს ან ზღვრებს საქართველოს მთავრობა ვალდებულია შეიმუშაოს და საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს შემდგომი ორი წლის ბიუჯეტების პარამეტრები, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს მოცემულ პერიოდში დადგენილ ზღვრებში დაბრუნების გეგმას.

საქართველოს პარლამენტის მიერ აღნიშნული ზღვრის ან/და ზღვრების შეუსაბამო ბიუჯეტის დამტკიცება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე წლის ბიუჯეტი ამ ზღვრის/ზღვრების შესაბამისი იყო, გარდა საგანგებო ან საომარი მდგომარეობისა ან/და ეკონომიკური რეცესიისა.

საშუალოვადიანი პერიოდისათვის ფისკალური პარამეტრების დადგენა ეფუძნება როგორც კანონმდებლობით განსაზღვრულ ზოგად წესებს ისე ქვეყანაში და რეგიონში არსებულ მაკროეკონომიკური სიტუაციის ანალიზს.

სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურა

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის სტრუქტურა მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- პირველ ოთხ თავში მოცემულია სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, მათ შორის შემოსულობებისა და გადასახდელების გაშლა, ეკონომიკური და ფუნქციონალური კლასიფიკაციების მიხედვით, დეფიციტის მოცულობა და მისი დაფინანსების წყაროები, სახელმწიფო ვალის საპროგნოზო მოცულობა და სხვა;
- მე-5 თავში წარმოდგენილია ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტები და მათ ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების და ქვეპროგრამების აღწერა და მიზანი (პროგრამები დაჯგუფებულია პრიორიტეტების მიხედვით);
- მე-6 თავში პროგრამები დაჯგუფებულია მათი განმახორციელებელი მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით და წარმოდგენილია თითოეული პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა. ამავე თავშია განსაზღვრული საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მოცულობაც;
- მე-7 თავში წარმოდგენილია ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გათვალისწინებული ტრანსფერების დეტალური ჩაშლა;
- მე-8 თავში მოცემულია ბიუჯეტის კანონის მარეგულირებელი და გარდამავალი დებულებები.

პარლამენტში წარდგენისას პროგრამული ბიუჯეტის პროექტს, მეტი გამჭვირვალობის მიზნით თან ახლავს ინფორმაციული დანართები, სადაც უფრო დეტალურადაა წარმოდგენილი პროგრამებთან და კაპიტალურ პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაცია, კერძოდ:

- პროგრამული ბიუჯეტის დანართში მოცემულია თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის აღწერა, მათი მოსალოდნელი შედეგი და შედეგების შეფასების ინდიკატორები, 2016 წლის ბიუჯეტში ასახულია თითოეული პროგრამისთვის საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებელი, ცდომილების ალბათობა და შესაძლო რისკები;

- კაპიტალური ბიუჯეტის დანართში მოცემულია ინფორმაცია ბიუჯეტით დაგეგმილი კაპიტალური პროექტების შესახებ (მათ შორის პროექტის მთლიანი ღირებულება, მისი დაფინანსების წყაროები, დასრულების ვადები და სხვა);
- ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების დეტალური ჩაშლა და ინფორმაცია თითოეული პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციების შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების (ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, ინვესტიციები და ა. შ.) პროგნოზების შესახებ, მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას, წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს და დამატებით ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსულობები და გადასახდელები აღირიცხება **საბიუჯეტო კლასიფიკაციის მეშვეობით**, რაც საშუალებას იძლევა ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები დაჯგუფდეს ეკონომიკური ხასიათის, ფუნქციონალური ღონისძიებების, ორგანიზაციული სტრუქტურის და სხვა მახასიათებლების მიხედვით. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საბიუჯეტო კლასიფიკაცია, 2012 წლის მდგომარეობით შემოდებულ იქნა პროგრამული კლასიფიკაცია ბიუჯეტის პროცესის დაგეგმვის, შესრულებისა და სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული ანგარიშგებისათვის.

ბიუჯეტის შემოსულობებია საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა:

- შემოსავლები;
- არაფინანსური აქტივები
(არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები);
- ფინანსური აქტივები
(ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები, ნაშთის გამოყენების გარდა);
- ვალდებულებები
(ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრები).

ბიუჯეტის გადასახდელებია საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა:

- ხარჯები -
(შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, პროცენტი, სუბსიდიები, გრანტები, სოციალური უზრუნველყოფა, სხვა ხარჯები);
- არაფინანსური აქტივები
(არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები);
- ფინანსური აქტივები
(ფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები, ნაშთის დაგროვების გარდა);
- ვალდებულებები
(ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვისათვის მიმართული სახსრები).

2016 წლის ბიუჯეტის ზოგადი მიმოხილვა

2016 წლისთვის, ისევე როგორც 2014-2015 წლებში, ბიუჯეტი მომზადებულია პროგრამის - „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ შესაბამისად; პროგრამის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა და ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარება.

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები

- ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
 - მოსახლეობის ჯანმრთელობასა და სოციალურ გარანტიებზე ზრუნვა. უზრუნველყოფილია ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა, რათა გააუმჯობესოს ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხარისხი და უზრუნველყოს საჭიროებებზე დაფუძნებული სოციალური გარანტიების შესაბამისი ბენეფიციარებისათვის შეთავაზება;
 - პენსიონერები უზრუნველყოფილი იქნებიან კანონმდებლობით განსაზღვრული საპენსიო გასაცემლებით;
 - დასაქმების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და შრომითი რესურსების სწორი მართვა.
 - ხორციელდება უმუშევრობის შესახებ ინფორმაციული ბაზის მუდმივ განახლება და დახვეწა, სამუშაოს მაძიებელთა შესახებ მონაცემების დამუშავება, ასევე სისტემატიზებული მონაცემების დამუშავება, თუ რა კვალიფიკაციის კადრებზე არის მოთხოვნილება დამსაქმებელთა მხრიდან.

- თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება
 - სამხედრო მოსამსახურეთათვის უზრუნველყოფილი იქნება ღირსეული სამუშაო პირობები, ასევე მათთვის და ყოფილი სამხედრო მოსამსახურეებისათვის – ადეკვატური სოციალური გარანტიები;
 - ძირეული რეფორმა განხორციელდება სამხედრო და ომის ვეტერანების უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფის სისტემაში.
 - განხორციელდება სამართლიანი სასჯელის პოლიტიკა. სასჯელის მოხდის რეჟიმი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გახდება და სრულად იქნება დაცული ადამიანის უფლებები;

- ხელი შეეწყობა ორგანიზებული თუ სხვა სახის დანაშაულის გამოვლენასა და გამოძიებას. უპირატესობა მიენიჭება აღდგენითი მართლმსაჯულებისა და რესოციალიზაციის პოლიტიკას;
- განხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც გულისხმობს პროკურატურის უფლებამოსილების შეზღუდვას გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის ეტაპზე ბრალდებულისა და დაზარალებულის უფლებების დაცვის მიზნით.

➤ **რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი**

- საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აშენდება და გაუმჯობესდება საერთაშორისო, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები. მაღალი ტემპით გაგრძელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის, ქუთაისისა და ქობულეთის შემოვლითი გზების მშენებლობა.
- ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით გაგრძელდება საქართველოს ქალაქებისა და რეკრეაციული ტერიტორიების მხარდაჭერა, ტურისტულ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების მოზიდვა.
- უზრუნველყოფილი იქნება საკურორტო და სხვა რეგიონებში უკეთესი მიღწევადობა. გაგრძელდება ამ სფეროში ინვესტიციების მოზიდვა, რაც ხელს შეუწყობს როგორც ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის, ვაჭრობისა და ტურიზმის ზრდას, ისე ახალი საწარმოების მშენებლობასა და სამუშაო ადგილების შექმნას;
- გაგრძელდება მუშაობა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის კუთხით.

➤ **განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება**

- გაიზრდება განათლების ხელმისაწვდომობა. ამაღლდება განათლების ხარისხი, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო პოტენციალი;
- გაგრძელდება საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და მშენებლობა, განვითარდება პროფესიული სასწავლებლების ინფრასტრუქტურა.
- საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლეები და კერძო სკოლების ზოგიერთი კატეგორიის მოსწავლე უზრუნველყოფილნი იქნებიან სასკოლო სახელმძღვანელოებით. პირველკლასელები და ფრიადოსნები (საბაზო

საფეხურის წარჩინებული კურსდამთავრებულები) კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან პერსონალური კომპიუტერებით.

- განხორციელდება პედაგოგთა ხელფასების ეტაპობრივი ზრდა, ასევე წარმატებული სტუდენტების მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში სწავლისა და ცხოვრების დაფინანსება.
- შემუშავდება სახელმწიფო პოლიტიკა მეცნიერებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობის კუთხით.
- უზრუნველყოფილი იქნება სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება, კვლევების ხარისხის ამაღლება, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ახალგაზრდობის ჩართვა.
- ყურადღება მიექცევა მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების შეთავაზებას, რაც აუცილებელი წინაპირობაა შრომის ბაზრის მაღალკვალიფიციური ადგილობრივი მუშახელით უზრუნველყოფისათვის, რაც დიდ გავლენას მოახდენს უმუშევრობის დონის შემცირებაზე.
- სახელმწიფო განაგრძობს და გააძლიერებს ზრუნვას ეთნიკური უმცირესობებისა და სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელი ახალგაზრდებისათვის უმაღლესი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

➤ **მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება**

- მსოფლიო ეკონომიკის არასახარბიელო მდგომარეობის ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს ეკონომიკის პოზიტიური მაკროეკონომიკური პარამეტრების შენარჩუნება და გაუმჯობესება, ვინაიდან ეს მაჩვენებლები მთავარი წინაპირობაა კაპიტალისა და ინვესტიციების მოზიდვისათვის, არსებული საწარმოების გაფართოებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის.
- საშუალოვადიან პერიოდში უზრუნველყოფილი იქნება დეფიციტის დაბალი მაჩვენებელი, შესაბამისად, გატარდება ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს საგადასახადო და მარეგულირებელი ადმინისტრირების ტვირთის მეწარმეთა სიმძლავრის პროპორციულად გადანაწილებას და ამით მცირე და საშუალო მეწარმეობის მეტ სტიმულირებას.
- დაგეგმილი ღონისძიებები მიმართული იქნება ქვეყანაში საუკეთესო საინვესტიციო გარემოს შექმნისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარებისაკენ.

- განხორციელდება ექსპორტის სტიმულირება და იმპორტის ჩანაცვლება; გაფართოვდება ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები და დაინერგება გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამები.

➤ **ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა**

- სახელმწიფო განაგრძობს ქვეყნის მიერ აღიარებული დემოკრატიული ღირებულებებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების მხარდაჭერას, სამოქალაქო პლურალიზმის ხელშეწყობას და საარჩევნო სისტემის განვითარებას.
- განსახორციელდება ღონისძიებები სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერისთვის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფასა და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით, რაც გულისხმობს საჯარო საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების უკეთეს რეგულირებას საკანონმდებლო დონეზე და შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების დახვეწას.

➤ **იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა**

- ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე და დევნილთა საკუთარ სახლებში დაბრუნებამდე სახელმწიფო განახორციელებს ზრუნვას იძულებით გადაადგილებული პირებისათვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შეთავაზების მიზნით, რაც გულისხმობს როგორც დევნილთა სახლების მშენებლობა-რეაბილიტაციის, ისე დევნილთათვის საცხოვრებელი ფართობების დაკანონების და მათი გონივრული განსახლების ღონისძიებებს, რათა ყველა დევნილს ღირსეულ პირობებში ცხოვრების საშუალება მიეცეს.
- სახელმწიფო განაგრძობს შესაბამისი ღონისძიებების გატარებას ლტოლვილთა დახმარების, რეადმისიის ხელშეკრულების საფუძველზე დაბრუნებულთა რეინტეგრაციისა და ეკომიგრანტთა საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფის მიზნით;
- კონფლიქტების სრულმასშტაბიანი მოგვარების საფუძვლის მოსამზადებლად განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სტაბილური, უსაფრთხო გარემოს შექმნას.

- კონფლიქტების მოგვარებისათვის გადამწყვეტი იქნება დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემების გადაჭრის დაჩქარება.

➤ **კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

- სახელმწიფო განაგრძობს ქვეყნის მნიშვნელოვანი კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, საქართველოს კულტურის საზღვარგარეთ პოპულარიზაციას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და რეაბილიტაციას.
- ხელი შეეწყობა ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვას და სამოქალაქო ინტეგრაციაზე მომუშავე ორგანიზაციებს.
- უზრუნველყოფილი იქნება ახალგაზრდების სხვადასხვა ასპარეზზე მხარდაჭერა და მათი სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წევრებად ჩამოყალიბების ხელშეწყობა.
- მოხდება სპორტული ინფრასტრუქტურის მოდერნიზება და დაინერგება თანამედროვე ტექნოლოგიები.
- განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობის და მათთვის სხვადასხვა სოციალური გარანტიის შეთავაზების, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით.
- საგანგებო ღონისძიებები გატარდება ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, დასაცავად. სახელმწიფო ენაზე იზრუნებს სახელმწიფო, რათა გარანტირებული იყოს ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვა.

➤ **საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია**

- სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია ქვეყნის საგარეო ურთიერთობების წარმატებულად წარმართვა, ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია და გლობალური უსაფრთხოების მხარდაჭერა.
- საგარეო ურთიერთობების საფუძველი იქნება ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა და არსებული გეოპოლიტიკური რეალობის გათვალისწინება, ევროკავშირში და ნატო-ში ინტეგრაცია.
- განხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს საერთაშორისო არენაზე ქვეყნის ინტერესების გატარებას.
- ევროკავშირთან თანამშრომლობის ჭრილში პრიორიტეტული იქნება ასოცირების შეთანხმების წარმატებულად დანერგვა.

- დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა ხელს შეუწყობს კონფლიქტების სრულმასშტაბიანი მოგვარების პროცესის წარმატებას.
- ამერიკის შეერთებულ შტატებთან, როგორც მთავარ მოკავშირესთან, ურთიერთობას საქართველო წარმართავს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით განსაზღვრული პირობების თანახმად. ქარტიას საქართველო განიხილავს, როგორც საკუთარი საზოგადოების წინაშე ვალდებულებას.
- ტრანსნაციონალური პროექტებისათვის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იქცეს შავი და კასპიის ზღვების რეგიონების და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარება.

➤ **სოფლის მეურნეობა**

- სოფლის მეურნეობის განვითარების უპირველესი გარანტი მკაფიოდ განსაზღვრული აგრარული და რეგიონალური პოლიტიკა და სოფლის მეურნეობის სექტორის დაფინანსების გაზრდა იქნება; დაფინანსების სტრუქტურაში თანდათან მნიშვნელოვნად გაიზრდება კერძო ინვესტიციების წილი სხვა დაფინანსების შემცირების ხარჯზე;
- აგრარული პოლიტიკის სტრატეგიის განხორციელების ფარგლებში: დარეგულირდება მიწათსარგებლობის საკითხები. მცირე და საშუალო ფერმერები უზრუნველყოფილი იქნებიან ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით. გაიზრდება აგრარულ სექტორში მწარმოებლობა, რენტაბელურობა და კონკურენტუნარიანობა. გაუმჯობესდება რეგიონებში მოსახლეობის ცხოვრების პირობები.
- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, უმუშევრობის შემცირებას, სიღარიბის დაძლევას და სოციალური ფონის გაუმჯობესებას, მრავალრიცხოვანი და ძლიერი საშუალო ფენის ჩამოყალიბებას. ბაზარი გახდება კონკურენტუნარიანი. ხელი შეეწყობა თავისუფალ მეწარმეობას. გაიზრდება თვითდასაქმებულთა კეთილდღეობა. მათი შემოსავლები მნიშვნელოვნად გადააჭარბებს საარსებო მინიმუმს.

➤ **სასამართლო სისტემა**

- პრიორიტეტი ითვალისწინებს ქვეყნის სასამართლო სისტემის რეფორმირებისა და გამართული ფუნქციონირების მხარდაჭერის ღონისძიებებს, საზოგადოების ნდობის ამაღლებას და მის ჩართულობას, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის განვითარებას, რათა სასამართლო სისტემა საქართველოს ყველა მოქალაქისა თუ არარეზიდენტი პირისათვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და ეფექტიანი იყოს.
- განხორციელდება სასამართლო სისტემის რეფორმა, რაც გულისხმობს პოლიტიკური ხელისუფლების ზემოქმედებისაგან თავისუფალ სასამართლოს, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ მართლმსაჯულებას და ქმედით საკონსტიტუციო კონტროლს.
- უზრუნველყოფილი იქნება სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობა, სასამართლო ხელისუფლების ადმინისტრირების პროცესის სრული გამჭვირვალობა და მართლმსაჯულების მთელი პროცესის საჯაროობა.

➤ **გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა**

- შემუშავდება გარემოსდაცვითი სტანდარტები და სამართლებრივ-ნორმატიული ბაზა ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად.
- შეიქმნება გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასების თანამედროვე პრინციპებზე აგებული სისტემა. საწვავის ხარისხი, ავტოპარკისა და საწარმოების საქმიანობა გარემოს დაცვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი იქნება.
- სახელმწიფო განაგრძობს დაცული ტერიტორიების განვითარებისა და პოპულარიზაციის ღონისძიებებს, ასევე ქვეყანაში ცხოველთა თუ მცენარეთა ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების ღონისძიებების მხარდაჭერას.
- ქალაქებში მოეწეობა ნარჩენების შეგროვებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, შეიქმნება სტიქიური მოვლენების პროგნოზირებისა და მოსახლეობის დროული გაფრთხილების სისტემა, განხორციელდება შავი ზღვის სანაპირო ზოლისა და მდინარეების ნაპირების დაცვითი/აღდგენითი სამუშაოები, სავალდებულო გახდება გარემოსდაცვითი საკითხების ურბანული დაგეგმვისა და სამშენებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში გათვალისწინება, ხელი შეეწეობა ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის განვითარებას.

დაგეგმილი ღონისძიებები

2016 წლის ბიუჯეტი ემსახურება ქვეყნის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსებას.

2016 წელს 2012 წელთან შედარებით ასაკით პენსიონერთა და სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ პირთა გასაცემლების ჯამური მოცულობა გაზრდილია 71.6%-ით, ხოლო ბენეფიციართა რაოდენობა გაზრდილია თითქმის 40 ათასი ერთეულით;

- ✓ საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში ბოლო სამი წლის მანძილზე გაიზარდა ყველა ტიპის გასაცემლები:
 - ასაკით პენსიონერებისათვის;
 - სახელმწიფო კომპენსაციების მიმღებ პირებისათვის განისაზღვრა ერთიანი მიდგომა და აღმოიფხვრა არსებული უთანასწორო პრაქტიკა;
 - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლების და დამოუკიდებლობისათვის და სამშვიდობო მისიებში გარდაცვლილთა ოჯახის წევრებისათვის კომპენსაცია განისაზღვრა 1000 ლარის ოდენობით;
- ✓ 2016 წელს 2012 წელთან შედარებით ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაფინანსება გაზრდილია 140%-ით;
- ✓ დაინერგა მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა: საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილია ჯანმრთელობის დაცვის საყოველთაო პაკეტით, მაშინ როდესაც 2012 წლისათვის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული დაზღვევის პაკეტით სარგებლობდა მხოლოდ 1 600.0 ათას ადამიანს;
- ✓ 2015 წლის აპრილში დაიწყო C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა, რომელიც მოიცავს C ჰეპატიტით დაავადებული საქართველოს მოქალაქეების დიაგნოსტიკური კვლევებითა და C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფას:
 - პირველ ეტაპზე პროგრამაში ჩაერთო 5000 - ზე მეტი პაციენტი.
 - მკურნალობის კურსი დაასრულა 1500-ზე მეტმა პირმა.
 - პაციენტების 80%-მა დაამარცხა C ჰეპატიტის ვირუსი.
 - მეორე ეტაპზე, ყოველწლიურად მკურნალობას გაივლის 20 000 დაავადებული პირი.
- ✓ 30%-ით გაიზარდა სოფლის ექიმისა და ექთნის დაფინანსება;
- ✓ ყველა ორსული უზრუნველყოფილია მათთვის აუცილებელი პრეპარატებით;
- ✓ დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშემწყობი პროგრამის ფარგლებში 2014 წლიდან ქვეყნის 6 რეგიონში ყოველ მესამე და შემდეგ შვილზე

2 წლამდე გაიცემა თანხა (მთიან რეგიონებში 200 ლარი, სხვა რეგიონებში 150 ლარი).


- ✓ უზრუნველყოფილი იქნება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები საპენსიო ასაკის პირისათვის სახელმწიფო პენსიის არანაკლებ 20%-ის ოდენობის ყოველთვიური დანამატის გაცემა; ასევე მოხდება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირისათვის სოციალური პაკეტის 20%-ის ოდენობის ყოველთვიური დანამატის გაცემა.
- ✓ 2016 წლის აპრილიდან მასწავლებელთა საბაზო ხელფასი გაიზრდება 405 ლარამდე (ზრდა 50 ლარი).
- ✓ მელიორაციის მიმართულებით განხორციელდა 100-მდე სარეაბილიტაციო პროექტი; მიმდინარეობს 25 სარეაბილიტაციო პროექტი.
- ✓ შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში დაფინანსებულია 128 ახალი საწარმო, გაძლიერდა/გაფართოვდა 665 საწარმოზე მეტი. 2016 წელს მოსალოდნელია 4.0 ათასამდე ახალი სესხის (ლიზინგი) გაცემა.

ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები

საბიუჯეტო დეფიციტი და პროფიციტი - როდესაც მთავრობა იმაზე მეტს ხარჯავს, ვიდრე გადასახადებიდან იღებს, მცირდება ეროვნული დანაზოგი, იქმნება ბიუჯეტის დეფიციტი, ხოლო თუ ნაკლებს ხარჯავს მაშინ იქმნება ბიუჯეტის პროფიციტი. წინა პერიოდში დაგროვილი ბიუჯეტის დეფიციტების ჯამი წარმოადგენს სახელმწიფო ვალს.

2016 წლისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის (წლის განმავლობაში ქვეყნის შიგნით წარმოებული მთლიანი საბოლოო პროდუქტის საბაზრო ღირებულება) რეალური ზრდის პროგნოზი 3.0%-ს, ხოლო მშპ-ს დეფლატორი (ყველა საბოლოო პროდუქტის და მომსახურების საშუალო ფასები) 5,5%-ს შეადგენს. საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკის რეალური ზრდის პროგნოზი 5,5%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი, ხოლო მშპ-ს დეფლატორი 4,5%-ის ფარგლებში.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე 2016 წელს ნომინალური მშპ-ს მოცულობა 34,2 მლრდ ლარს შეადგენს, ხოლო 2019 წლისთვის პროგნოზირებულია მისი გაზრდა 45,8 მლრდ ლარამდე.




დასახელება	2014 ფაქტი	2015 გეგმა	2016 გეგმა
მშპ-ს რეალური ზრდა	4,6%	2,8%	3,0%
ნომინალური მშპ	29 150,5	31 465,0	34 191,5
საშუალო წლიური ინფლაცია	3,1%	4,0%	5,5%
ინფლაცია წლის ბოლოსთვის	2,0%	5,5%	5,5%
სახელმწიფო ვალი %-ულად მშპ-სთან	35,7%	43,1%	42,6%
საბიუჯეტო დეფიციტი %-ულად მშპ-სთან	2,9%	3,0%	3,0%

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 10,145.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც 2015 წლის მაჩვენებელს 400.0 მლნ ლარით აღემატება, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 29.7%-ს შეადგენს, 2015 წელთან შედარებით შემოსულობების ზრდა ძირითადად უკავშირდება საგადასახადო შემოსულობების ზრდას, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 78.7%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 23.3%-ს შეადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა

მლნ ლარი




1.1 სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 84.3%-ს წარმოადგენს შემოსავლები, რომელიც შეადგენს 8,555.0 ლარს, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 25.0%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურა

მლნ ლარი

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა	გადახრა (2016-2015)
შემოსავლები	7 434,6	8 048,9	8 555,0	506,1
გადასახადები	6 847,0	7 520,0	7 980,0	460,0
გრანტები	278,7	238,9	255,0	16,1
სხვა შემოსავლები	308,9	290,0	320,0	30,0



გადასახადები


2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 7 980.0 მლნ ლარს, რაც 2015 წლის გეგმიურ მაჩვენებელს 460.0 მლნ ლარით აღემატება. გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტის სულ შემოსულობების 78.7%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 23.3%-ს შესადგენს.

გრანტები

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი 2015 წლის გეგმასთან შედარებით 16.1 მლნ ლარით მეტია და 255.0 მლნ ლარს შეადგენს, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 2.6%-ს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 0.8%.

სხვა შემოსავლები

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 30.0 მლნ ლარით მეტია 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით და შეადგენს 320.0 მლნ ლარს. სხვა შემოსავლებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს შემოსავლებს საკუთრებიდან (სახელმწიფოს საკუთრებაში ან წილობრივ მფლობელობაში მყოფი საწარმოების დივიდენდები და პროცენტები, იჯარა), ადმინისტრაციულ მოსაკრებლებს (ლიცენზიები, ნებართვები, სარეგისტრაციო მოსაკრებლები) და ჯარიმებს.



1.2 არაფინანსური აქტივების კლება

2016 წელს არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები სახსრების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 225.0 მლნ ლარს, რაც 55.0 მლნ ლარით ნაკლებია 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

1.3 ფინანსური აქტივების კლება

ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 90,0 მლნ ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს წინა წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების დაბრუნებას.

1.4 ვალდებულების ზრდა

სახელმწიფოს მიერ სესხების ალებით 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 1 275.0 მლნ ლარი, რაც მთლიანი საბიუჯეტო რესურსის 12.6%, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 3.7%-ია.

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

მლნ ლარი


დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის პროექტი	გადახრა
1. სულ შემოსულობები	9 157 085,1	9 745 000,0	10 145 000,0	400 000,0
1.1 შემოსავლები	7 434 637,5	8 048 920,0	8 555 000,0	506 080,0
გადასახადები	6 846 964,2	7 520 000,0	7 980 000,0	460 000,0
<i>საშემოსავლო გადასახადი</i>	1 790 379,5	2 038 000,0	2 086 000,0	48 000,0
<i>მოგების გადასახადი</i>	828 823,2	1 004 000,0	980 000,0	-24 000,0
<i>დამატებითი ღირებულების გადასახადი</i>	3 298 518,3	3 525 000,0	3 802 000,0	277 000,0
<i>აქციზი</i>	810 209,1	860 000,0	1 012 000,0	152 000,0
<i>იმპორტის გადასახადი</i>	94 883,2	68 000,0	75 000,0	7 000,0
<i>სხვა გადასახადები</i>	24 150,9	25 000,0	25 000,0	0,0
გრანტები	278 734,5	238 920,0	255 000,0	16 080,0
სხვა შემოსავლები	308 938,8	290 000,0	320 000,0	30 000,0
1.2 არაფინანსური აქტივების კლება	80 627,2	280 000,0	225 000,0	-55 000,0
1.3 ფინანსური აქტივების კლება	72 139,9	85 000,0	90 000,0	5 000,0
<i>სესხები</i>	72 136,8	85 000,0	90 000,0	5 000,0
<i>სხვა დებიტორული დავალიანებები</i>	3,1	0,0	0,0	0,0
1.4 ვალდებულებების ზრდა	1 569 680,5	1 331 080,0	1 275 000,0	-56 080,0
<i>საშინაო ვალდებულებები</i>	572 815,6	315 000,0	200 000,0	-115 000,0
<i>საგარეო ვალდებულებები</i>	996 864,9	1 016 080,0	1 075 000,0	58 920,0
2. სულ გადასახდელები	9 009 812,3	9 620 000,0	10 145 000,0	525 000,0
2.1 ხარჯები	7 479 426,2	8 110 493,1	8 543 569,5	433 076,4
შრომის ანაზღაურება	1 296 186,2	1 381 379,6	1 443 304,3	61 924,8
საქონელი და მომსახურება	875 411,3	941 743,3	1 037 494,8	95 751,6
პროცენტი	244 841,3	377 106,0	473 757,0	96 651,0
სუბსიდიები	274 489,6	236 526,9	264 476,0	27 949,1
გრანტები	1 067 744,1	1 257 480,3	960 931,6	-296 548,7
სოციალური უზრუნველყოფა	2 547 741,7	2 783 632,8	3 056 999,0	273 366,2
სხვა ხარჯები	1 173 012,1	1 132 624,3	1 306 606,8	173 982,5
2.2 არაფინანსური აქტივების ზრდა	698 450,1	699 093,9	750 071,9	50 978,0
2.3 ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	272 202,3	336 190,0	407 001,6	70 811,6
2.4 ვალდებულებების კლება	559 733,7	474 223,0	444 357,0	-29 866,0
2.5 ნაშთის ცვლილება	147 272,8	125 000,0	0,0	-125 000,0

2016 წლის გადასახდელები

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით გადასახდელების მთლიანი მოცულობა დაგეგმილია 10,145.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც 525.0 მლნ ლარით მეტია 2015 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის 29.7%-ს შეადგენს. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსების წყაროს მთლიანად წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები. არ არის დაგეგმილი სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული თავისუფალი სახსრების (ნაშთის) გამოყენება.


დასახელება	მლნ ლარი		
	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
გადასახდელები	9 009,8	9 620,0	10 145,0
ხარჯები	7 479,4	8 110,5	8 543,6
არაფინანსური აქტივების ზრდა	698,5	699,1	750,1
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	272,2	336,2	407,0
ვალდებულებების კლება	559,7	474,2	444,4

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (მლნ ლარი)




გადასახდელების სტრუქტურა

მლნ ლარი



ხარჯების სტრუქტურა

მლნ ლარი




2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტული ღონისძიებების დაფინანსება



ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მლნ ლარი


დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2 126,5	2 642,8	2 881,0	3 162,0
მ.შ სოციალური პროგრამები	1 638,5	1 971,5	2 041,0	2 273,0
მ.შ. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები	435,5	588,3	752,2	801,5
მ.შ. მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა	69.9	338.5	566.0	570.0



განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

მლნ ლარი


დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	675,9	741,1	840,8	975,2
მ.შ. სკოლების ვაუჩერული დაფინანსება	410,1	374,6	430,0	507,0
მ.შ. საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება	42,9	89,7	69,1	69,1
მ.შ. მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა	19,1	14,2	12,3	12,0
მ.შ. მეცნიერების ხელშეწყობა	27,1	32,4	60,4	66,7



რეგიონული განვითარება და ინფრასტრუქტურა

მლნ ლარი


დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	798,6	904,9	869,5	950,0
მ.შ. საგზაო ინფრასტრუქტურა	523,0	526,4	507,0	526,6
მ.შ. რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	127,1	168,3	204,6	246,2
მ.შ. წყლის ინფრასტრუქტურა	71,5	106,9	123,1	170,6



სოფლის მეურნეობა


მლნ ლარი

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	227,4	265,8	262,5	321,4
მ.შ. სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია	61,5	50,1	67,1	63,0
მ.შ. შეღავათიანი აგროკრედიტები	6,6	42,8	30,0	41,0
მ.შ. მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებები	0,0	50,0	50,0	48,0



სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება

მლნ ლარი



მხარჯავი დაწესებულებების დაფინანსება 2014-2016 წლებში

მლნ ლარი

კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	56,6	54,5	60,0	60,0
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	9,6	9,8	9,8	9,8
03 00	საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი	1,4	2,0	2,0	2,0
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	30,4	21,0	20,0	20,0
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	11,9	12,9	14,5	14,5
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	57,6	22,5	58,5	58,5
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	3,1	3,4	3,4	3,4
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	6,6	6,6	7,7	7,7
09 00	საერთო სასამართლოები	47,4	50,0	52,0	52,0
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	2,3	2,7	2,7	2,7
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში	0,8	0,9	0,9	0,9
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	0,7	0,7	0,7	0,7
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში	1,0	0,8	0,8	0,8
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	0,8	0,8	0,8	0,8
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	0,7	0,7	0,7	0,7
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	0,7	0,7	0,7	0,7
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და	0,7	0,7	0,7	0,7

კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები
	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში				
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ რუსთავში	0,8	1,0	1,0	1,0
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	0,7	0,7	0,7	0,7
20 00	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	5,0	3,1	3,1	3,1
21 00	დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,3	1,2	1,2	1,2
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,3	1,4	1,4	1,4
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	94,5	91,0	90,0	90,0
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	88,4	85,4	95,1	95,0
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	905,0	869,5	950,0	398,0
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	68,2	66,1	70,5	68,5
27 00	საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	150,2	150,5	153,8	153,8
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	89,4	89,5	110,0	110,0
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	667,4	667,3	670,0	670,0
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	607,1	591,7	595,0	595,0
31 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	9,3	12,4	15,0	15,0
32 00	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	741,1	840,8	975,2	905,0
33 00	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	94,1	94,9	97,0	97,0
34 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	49,4	70,0	85,0	85,0
35 00	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2 642,8	2 881,0	3 162,0	3 162,0
36 00	საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო	168,7	114,3	135,0	32,0
37 00	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	265,8	262,5	321,4	295,0

კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები
38 00	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	32,4	36,6	42,1	35,9
39 00	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	90,7	69,8	90,0	90,0
40 00	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	50,2	54,1	55,0	55,0
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	3,5	4,0	4,5	4,5
42 00	სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი	38,2	40,8	44,1	44,1
43 00	სსიპ – კონკურენციის სააგენტო *	0,4	1,9	2,0	2,0
44 00	სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	3,5	3,5	3,5	3,5
45 00	საქართველოს საპატრიარქო	25,6	25,0	25,0	25,0
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	3,5	3,5	3,5	3,5
47 00	სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი	14,9	8,9	7,8	7,8
48 00	სსიპ – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური	1,2	1,3	1,3	1,3
49 00	სსიპ – საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო	2,3	2,3	2,3	2,3
50 00	სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურო	0,7	1,2	1,4	1,4
51 00	პერსონალური ინფორმაციის დაცვის ინსპექტორის აპარატი	0,6	1,5	2,1	2,1
52 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	3,7	0,5	1,3	1,3
53 00	სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახური	2,9	4,5	5,8	5,8
54 00	სსიპ – ვეტერეანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	1,9	7,5	7,5	7,5
55 00	სსიპ – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	2,2	4,2	5,6	5,6
56 00	საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	0,0	2,2	2,2	2,2
57 00	ა(ა)იპ – სოლიდარობის ფონდი	0,1	0,3	0,3	0,3
58 00	სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრი	0,0	5,8	6,5	6,5
59 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი	0,0	4,6	5,2	5,2
60 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	0,0	36,0	100,0	100,0
61 00	სსიპ – სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	0,0	0,0	0,3	0,3
62 00	საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	1 848,5	2 215,6	1 957,7	1 907,6
63 00	სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	0,2	0,0	0,0	0,0
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები		9 009,8	9 620,0	10 145,0	9 335,0

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის გადასაცემი ტრანსფერი შეადგენს 621 700,0 ათას ლარს.

ათას ლარებში

ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების დასახელება	სულ ტრანსფერი	გათანაბრებითი ტრანსფერი	მიზნობრივი ტრანსფერი	სპეციალური ტრანსფერი
ავხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	9,000.0	0.0	0.0	9,000.0
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი	242,582.2	242,182.2	400.0	
აჭარის მუნიციპალიტეტი	1,099.6	1,074.6	25.0	
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	33,642.3	33,642.3	0.0	
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	5,868.4	5,868.4	0.0	
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	7,776.5	7,776.5	0.0	
ქედის მუნიციპალიტეტი	3,835.5	3,835.5	0.0	
შუახევის მუნიციპალიტეტი	4,207.2	4,207.2	0.0	
ხულოს მუნიციპალიტეტი	5,986.0	5,986.0	0.0	
ახმეტის მუნიციპალიტეტი	5,335.1	5,205.1	130.0	
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	5,930.4	5,770.4	160.0	
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	1,762.2	1,577.2	185.0	
ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტი	6,442.4	6,280.4	162.0	
თელავის მუნიციპალიტეტი	3,720.0	3,590.0	130.0	
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	5,411.8	5,191.8	220.0	
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	3,270.5	3,060.5	210.0	
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	2,961.8	2,816.8	145.0	
ყვარლის მუნიციპალიტეტი	3,193.8	3,058.8	135.0	
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	21,498.0	21,278.0	220.0	
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	6,807.3	6,575.3	232.0	
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	2,877.8	2,727.8	150.0	
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	5,966.0	5,796.0	170.0	
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	3,347.7	3,219.7	128.0	
ვანის მუნიციპალიტეტი	5,398.7	5,248.7	150.0	
ზეესტაფონის მუნიციპალიტეტი	5,470.8	5,230.8	240.0	
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	6,271.1	6,111.1	160.0	
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	5,588.6	5,399.6	189.0	
საჩხერის მუნიციპალიტეტი	6,149.4	5,959.4	190.0	
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	4,192.1	4,054.1	138.0	
ხონის მუნიციპალიტეტი	5,479.2	5,319.2	160.0	
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	260.0	0.0	260.0	
ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	11,132.2	11,005.2	127.0	
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	11,752.2	11,522.2	230.0	


ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების დასახელება	სულ ტრანსფერი	გათანაბრებითი ტრანსფერი	მიზნობრივი ტრანსფერი	სპეციალური ტრანსფერი
აბაშის მუნიციპალიტეტი	4,909.0	4,762.0	147.0	
მარტვილის მუნიციპალიტეტი	5,227.5	5,064.5	163.0	
მესტიის მუნიციპალიტეტი	2,947.8	2,822.8	125.0	
სენაკის მუნიციპალიტეტი	4,208.7	4,013.7	195.0	
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	4,057.8	3,885.8	172.0	
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	4,579.3	4,401.3	178.0	
ხობის მუნიციპალიტეტი	2,347.7	2,127.7	220.0	
ქალაქ გორის მუნიციპალიტეტი	9,521.0	9,311.0	210.0	
გორის მუნიციპალიტეტი	10,311.6	10,205.6	106.0	
ქურთის მუნიციპალიტეტი	2,122.6	2,032.6	90.0	
ერედვის მუნიციპალიტეტი	3,168.1	1,873.1	45.0	1,250.0
კასპის მუნიციპალიტეტი	3,791.9	3,614.9	177.0	
ქარელის მუნიციპალიტეტი	6,052.5	5,839.5	213.0	
თილვის მუნიციპალიტეტი	1,410.9	1,285.9	25.0	100.0
ხაშურის მუნიციპალიტეტი	5,215.7	4,986.7	229.0	
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	11,593.8	11,093.8	500.0	
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	305.0	0.0	305.0	
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	2,389.5	2,129.5	260.0	
დმანისის მუნიციპალიტეტი	2,029.9	1,914.9	115.0	
თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი	4,018.9	3,801.9	217.0	
მარნეულის მუნიციპალიტეტი	4,862.5	4,612.5	250.0	
წალკის მუნიციპალიტეტი	2,663.0	2,554.0	109.0	
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	5,516.1	5,296.1	220.0	
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	5,206.4	5,120.4	86.0	
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	5,657.6	5,483.6	174.0	
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	2,890.4	2,707.4	183.0	
ადიგენის მუნიციპალიტეტი	3,043.4	2,906.4	137.0	
ასპინძის მუნიციპალიტეტი	2,144.3	2,018.3	126.0	
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	5,996.9	5,781.9	215.0	
ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტი	4,518.6	4,351.6	167.0	
ახალციხის მუნიციპალიტეტი	3,375.5	3,265.5	110.0	
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	190.0	0.0	190.0	
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	2,898.1	2,733.1	165.0	
ახალგორის მუნიციპალიტეტი	2,413.3	2,073.3	90.0	250.0
დუშეთის მუნიციპალიტეტი	3,313.4	3,203.4	110.0	
თიანეთის მუნიციპალიტეტი	3,190.0	3,054.0	136.0	
ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტი	1,758.6	1,663.6	95.0	

ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების დასახელება	სულ ტრანსფერი	გათანაბრებითი ტრანსფერი	მიზნობრივი ტრანსფერი	სპეციალური ტრანსფერი
მცხეთის მუნიციპალიტეტი	280.0	0.0	280.0	
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	632.1	547.1	85.0	
ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	3,983.9	3,902.9	81.0	
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	2,627.4	2,572.4	55.0	
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	2,756.5	2,651.5	105.0	
ონის მუნიციპალიტეტი	2,885.1	2,782.1	103.0	
ცაგერის მუნიციპალიტეტი	4,470.9	4,312.9	158.0	
სულ საქართველო	621,700.0	599,332.0	11,768.0	10,600.0

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა აღირიცხება ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით და შემდეგნაირად გამოიყურება:

<i>მლნ ლარი</i>				
კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
	მთლიანი ხარჯები	8 177,9	8 809,6	9 293,6
	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1 745,9	2 095,4	1 911,3
	თავდაცვა	639,6	644,3	646,2
	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	905,8	932,2	1 021,6
	ეკონომიკური საქმიანობა	1 004,6	935,4	1 088,8
	გარემოს დაცვა	37,5	43,0	47,4
	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	54,4	49,7	58,0
	ჯანმრთელობის დაცვა	652,8	822,5	862,6
	დასვენება, კულტურა და რელიგია	176,2	186,0	197,3
	განათლება	803,9	914,9	1 056,5
	სოციალური დაცვა	2 157,0	2 186,2	2 404,0



როგორ მივიღო მონაწილეობა საბიუჯეტო პროცესში?

მოქალაქეთა მონაწილეობას საბიუჯეტო პროცესში იძლევა მათი მოთხოვნების გათვალისწინების, კონკრეტულ სამთავრობო ინიციატივებზე და გეგმებზე პოზიციის დაფიქსირების, მტავრობისათვის გაზიარების და ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების საშუალებას. მოსახლეობის აქტიური ჩართულობის შედეგად:

- ✓ იზრდება მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა;
- ✓ უმჯობესდება საბიუჯეტო და ეკონომიკური განათლების დონე;
- ✓ მთავრობის და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ხდება ჩართულობის ახალი პლატფორმების შეთავაზება;
- ✓ უმჯობესდება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილებების მიღება;
- ✓ იზრდება მოქალაქეთა ნდობა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისადმი;
- ✓ ხდება მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მეტი ლეგიტიმაცია;
- ✓ იზრდება მოქალაქეთა აქტიურობა ბიუჯეტით დაფინანსებული აქტივობების მონიტორინგის პროცესში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებულია კითხვარი „მიიღე მონაწილეობა ბიუჯეტის დაგეგმვაში და განსაზღვრე პრიორიტეტული მიმართულებები“. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია შევიდეს აღნიშნულ ვებგვერდზე (<http://survey.mof.ge/>) და გამოხატოს საკუთარი აზრი. გამოკითხვა მოიცავს 10 პრიორიტეტს, ესენია:

- განათლება
- მეცნიერება
- სოციალური დაცვა და საპენსიო უზრუნველყოფა
- ჯანმრთელობის დაცვა
- სოფლის მეურნეობის განვითარება
- გარემოს დაცვა
- სპორტისა და ახალგაზრდობის ხელშეწყობა
- ინფრასტრუქტურა
- თავდაცვა და საზოგადოებრივი უსაფრთხოება
- კულტურის ხელშეწყობა

წარმოდგენილი პრიორიტეტების დალაგება ხდება შეხედულებისამებრ და შემდეგ გამოითვლება პროცენტულად დიაგრამის სახით რომელ პრიორიტეტს მიენიჭა უფრო მაღალი მაჩვენებელი. 2014 წლის მასიდან გამოკითხვაში მონაწილეობა 650-მდე პირმა მიიღო, თუმცა მიმდინარე წელს უკვე 4500-ზე მეტმა გამოხატა თავისი მოსაზრება ბიუჯეტის პრიორიტეტებთან დაკავშირებით.

პრიორიტეტები

